საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს

გადაწყვეტილება №171

2019წ. "23" 07

ქ.თბილისი

შპს საქართველოს უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის გაუქმებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე,

საბჭომ გადაწყვიტა:

1.შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს საქართველოს უნივერსიტეტის „ქართული ფილოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.
2.საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2019 წლის 23 ივლისის №44 სხდომის ოქმის მეოთხე ნაწილი და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილებად.
3.საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება კანონით დადგენილი წესით შესაძლებელია მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ.№1 ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

თავმჯდომარე
ქეთევან ქოქრაშვილი

მდივანი
სალომე თოთიბაძე